სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

საფეხური: სამაგისტრო
პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველმა საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.
შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში მოწმდება სტუდენტის ინგლისური ენის კომპეტენცია (B2), და მისი დარგობრივი ცოდნა.
შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ტარდება ზეპირი გამოცდის ფორმატში.

აპლიკანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ ზეპირ გამოცდაზე მიღებული ქულა იქნება 51 ქულაზე ნაკლები, ანუ დადებით შეფასებაზე ნაკლები, ის გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

ზეპირ გამოცდაზე კონკურსანტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია (ტექსტის ამონარიდის მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევა)
- მოტივაცია
- აკადემიური/ პროფესიული მიღწევები
- კომუნიკაციის უნარი
- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე - ფასდება შესაბამისი სირთულის დარგობრივი ტექსტის წაკითხვისა და გაგების საფუძველზე;

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში შემოწმდება კანდიდატის აკადემიური მომზადების დონე და ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები. დარგთან დაკავშირებული ცოდნის დასადასტურებლად კანდიდატს წარედგინება ტექსტის ამონარიდი, რომელსაც გაარჩევს მორფოლოგიურ-სინტაქსურად. კანდიდატის მოტივაციის დადგენის მიზნით, გამოცდაზე სასურველია გამოვლინდეს, რის მიღწევას გეგმავს კანდიდატი აკადემიური და პროფესიული თვალსაზრისით და რა არის პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია. ასევე, სასურველია, კანდიტატმა ისაუბროს იმაზე, თუ რას მოელის პროგრამისაგან (ცოდნა, გამოცდილება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ა.შ.).

ზეპირი გამოცდის შეფასების სისტემა:

დარგობრივი ცოდნა და არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევა		40
ჯამი:		**40**

მოტივაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა		5
აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა		5
პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		5
პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან		5
ჯამი:		**20**

აკადემიური/პროფესიული მიღწევები	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები და ა.შ.)		5
სფეროში მუშაობის გამოცდილება და აპლიკანტის მიერ საკუთარი მიღწევების შეფასება/რეფლექსია		5
ჯამი:		10

კომუნიკაციის უნარი	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
ქართულ ენაზე გამართული კომუნიკაციის უნარი		5
აუდიტორიასთან კავშირის დამყარების უნარი		5
ჯამი:		**10**

ინგლისური ენის ცოდნა	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	**მინიმალური ზღვარი**
პროფესიული/დარგობრივი ტექსტის გაგების უნარი		10	4
პროფესიული/დარგობრივი ტექსტის გადმოცემის უნარი		10	4
ჯამი:		**20**	**8**